

159.9

## პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასება და მისი მიმართება სასერტიფიკაციო გამოცდებთან

<sup>1</sup>სოფიო დოლიძე, <sup>2</sup>ნათია გუგუნაშვილი

<sup>1</sup>გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის დოქტორი

<sup>2</sup>შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო საჯარო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული თვითშეფასებისა და სერტიფიცირების პროცესის ურთიერთმიმართების დადგენა. კვლევისათვის გამოიყენებოდა გრინვალდის პიროვნული თვითშეფასების კითხვარი. კვლევის პოპულაციას შეადგენდნენ თბილისის და რეგიონის საჯარო სკოლის მასწავლებლები (150 მასწავლებელი); სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება პროფესიული თვითშეფასების დონის მიხედვით მასწავლებლებს შორის, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სერტიფიცირების პროცესში და რომელთაც არ აქვთ მონაწილეობა მიღებული სერტიფიცირების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** თვითშეფასება, სერტიფიცირება, პედაგოგი

საქართველოში პედაგოგიური განათლება რეგულირებად დარგად არის გამოცხადებული სახელმწიფოს მიერ. ამ დარგის სპეციალისტმა, კანონით დადგენილი წესის თანახმად, უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და მოიპოვოს მოწმობა, რომელიც პროფესიით მუშაობის უფლებას მიანიჭებს. სასერტიფიკაციო გამოცდა მოიცავს ორი ტიპის ტესტს, რომელთა ჩაბარება სავალდებულოა მასწავლებლად მუშაობის ნებისმიერი მსურველისთვის. ეს ტესტებია:

- **პროფესიული უნარების ტესტი** ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიები, ეფექტური სწავლისა და სწავლების მეთოდები და მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებები და ღირებულებები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის.
- **საგნობრივი ტესტი** ამოწმებს კონკრეტული საგნის ან საგნობრივი ჯგუფის სწავლებისათვის საჭირო და ამ საგნის/საგანთა ჯგუფის სწავლების სპეციფიკური მეთოდის ცოდნას. საგნობრივი ტესტირება ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში.

სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია 2014 წლამდე. სერტიფიცირების პროცესი 2010 წელს დაიწყო. გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც

პასუხისმგებელია სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე, პირველ ეტაპზე საბაზო-საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და უცხოური ენების მასწავლებლებს სთავაზობდა საგნობრივ გამოცდებს. პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარება კი შეეძლო ნებისმიერი საფეხურისა და ნებისმიერი საგნის მასწავლებელს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2010 წელს სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლის სურვილი 10720 მასწავლებელმა გამოთქვა. ორივე გამოცდაში - პროფესიულ უნარებსა და სპეციალობაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი გადალახა და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და უცხო ენის 1147 პედაგოგს, ანუ საერთო რაოდენობის 11%-ს. თითო საგანი ჩააბარა გამოცდაზე გასულ პედაგოგთა საშუალოდ 50%-მა.

2011 წელს სასერტიფიკაციო გამოცდების ნუსხა გაიზარდა. მომზადდა დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) მასწავლებლის, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდები. 2011 წელს 2500 პედაგოგმა მოიპოვა სერტიფიკატი. რადგან სასერტიფიკაციო გამოცდები ნებაყოფლობითია და მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, სურვილისამებრ ჩააბარონ ერთი ან ორივე გამოცდა, ამიტომ პედაგოგთა დიდი რაოდენობა 2011 წელს ერთ გამოცდაზე გავიდა, 5000-მა მასწავლებელმა წარმატებით გადალახა პროფესიული უნარების გამოცდის ბარიერი, ხოლო 4000-მა კი - საგნობრივის.

2012 წელს სასერტიფიკაციო გამოცდებზე 22 ათასზე მეტი პედაგოგი დარეგისტრირდა. საგამოცდო საგანთა ნუსხა შეივსო დაწყებითი საფეხურს (I-VI კლასები) საგნობრივი გამოცდებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ბუნებისმეტყველებაში. სერტიფიკატი მოიპოვა 8000-მდე მასწავლებელმა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ 2008 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებით, პედაგოგთა დიდი უმრავლესობა (86.3%) სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისთვის იყო განწყობილი, თუმცა, მათგან მხოლოდ დაახლოებით ნახევარს ჰქონდა მყარად გადაწყვეტილი, გასულიყო გამოცდაზე. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა მთელ კორპუსში მხოლოდ 1% აღმოჩნდა ისეთი, ვინც უარი განაცხადა სერტიფიცირებაში მონაწილეობაზე. დამატებით კიდევ 6.4% არმონაწილეობისაკენ იხრებოდა. ძირითად მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა მათთვის შეურაცხმყოფელია. დასახელებულია სხვა ობიექტური (მაგ., „ისედაც ვაპირებ სკოლის დატოვებას“) თუ სუბიექტური (მაგ., „არ მაქვს იმედი, რომ გამოცდები სამართლიანად ჩატარდება“) მიზეზებიც. სერტიფიცირებაში მონაწილეობის მიმართ ნეგატიურად განწყობილ პედაგოგთა ნაწილი არ გამოირიცხავდა, რომ შეეცვალა პოზიცია და მთავარ პირობად აყენებდა იმას, რომ საგამოცდო ტესტების შინაარსი განსაზღვრულიყო იმ საგნითა და კლასით, რომელსაც ასწავლიან. რამდენადმე გასათვალისწინებელ პირობას წარმოადგენდა, აგრეთვე, სერტიფიცირების გავლის შემდეგ რეალური პრივილეგიების მინიჭება.

ის, რომ საქართველოს მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი განწყობილი იყო სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობისათვის, იმითაც დასტურდება, რომ ისინი (83.1%) აპირებდნენ გამოცდებზე ხელმეორედ გასვლას, თუ მათი პირველი მცდელობა

წარუმატებლად დამთავრდებოდა. მეორე მცდელობის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში გამოცდებზე კიდევ გასვლას აპირებდა 77.4%.

სავარაუდოდ, ამ მონაცემებს ეხმიანება მასწავლებელთა მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის საკუთარ შესაძლებლობების შეფასება (იმის გათვალისწინებით, რომ მათი შესაძლებლობები ობიექტურად შეფასდება). გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ გამოცდების ვერჩაბარების შიში პედაგოგთა ძალზე მცირე რაოდენობას - დაახლოებით 3-4%-ს აწუხებდა. 40% ფიქრობდა, რომ უპრობლემოდ გაართმევდა თავს გამოცდას, რადგან მაღალი კვალიფიკაცია აქვს. 30%-ზე მეტი კი მიიჩნევდა, რომ წარმატებით ჩააბარებდა გამოცდას, თუკი სათანადოდ მოემზადებოდა მისთვის. საინტერესოა, აგრეთვე, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის აზრით, მათი სკოლის მასწავლებელთა არსებული შემადგენლობის თითქმის 73% შეძლებდა სერტიფიცირების წარმატებით გავლას. ის, რომ პედაგოგებს საკმაოდ მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარი კოლეგების კვალიფიკაციაზე, გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც დადასტურდა. რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (60%-ზე მეტი) მათი სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციას აფასებდა, როგორც „საშუალოზე მაღალს“, 15% კი - როგორც „ძალზე მაღალს“. პრაქტიკულად არავინ მიუთითებდა პედაგოგთა თუნდაც საშუალოზე დაბალ კვალიფიკაციაზე.

ამ მონაცემების გაცნობის შემდეგ დავინტერესდით პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასებით. დავინახეთ ერთგვარი კავშირი პროფესიულ თვითშეფასებასა და სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობას (მონაწილეობის განზრახვას) შორის. ერთი შეხედვით, ცხადი სურათი იკვეთება - მასწავლებელთა უმრავლესობას მაღალი პროფესიული თვითშეფასება აქვს და, სავარაუდოდ, სწორედ ეს განაპირობებს მათ სურვილსა თუ მზაობას, მოიპოვონ სერტიფიკატი. მაგრამ სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობის სიმცირემ გვაფიქრებინა, რომ მიმართება თვითშეფასებასა და სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობას შორის ბევრად უფრო კომპლექსურია. ამ მიმართების შესასწავლად საჭირო გახდა პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასების გაზომვა.

**თვითშეფასება** - საკუთარი პიროვნების სუბიექტური შეფასება - შეიძლება განვიხილოთ განსაკუთრებულ განწყობად - განწყობად საკუთარი თავის, მე-ს მიმართ. თვითშეფასება განისაზღვრება იმ დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით (ან მათი ბალანსით), რომლებსაც ადამიანი მიაწერს საკუთარ თავს. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე სხვათა დადებითი თუ უარყოფითი შეფასებები, ამასთანავე, ის მძიმე თუ სასიამოვნო სიტუაციები, რომლებშიც ადამიანი მუდმივად იმყოფება.

ზოგად თვითშეფასებასთან ერთად ზოგი ავტორი გამოყოფს თვითშეფასების ცალკეულ სპეციფიკურ ასპექტებს: ინტელექტუალურს, ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურს, რომლებიც იერარქიულად არიან ორგანიზებულნი თვითშეფასებაში. თვითშეფასება არ შეადგენს მათ უბრალო ჯამს (დღემდე საკამათოა თვითშეფასების ცალკეულ ასპექტთა და ზოგადი თვითშეფასების ურთიერთმიმართების საკითხი), ან სხვადასხვა სფეროების თვითშეფასებების ინტეგრირებად დადგენილ საშუალოს. ზოგადი თვითშეფასებისთვის ცალკეული სფეროების სპეციფიკურ თვითშეფასებას სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა პიროვნებებთან, რაც ცალკეულ პიროვნებათა მოტივებსა და სოციალურ გარემოზეა დამოკიდებული.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო იყო მასწავლებელთა თვითშეფასების პროფესიული ასპექტი. პროფესიული თვითშეფასება ასახავს ადამიანის, როგორც პროფესიონალის თვითპატივისცემის, საკუთარი თავის, როგორც პროფესიონალის ფასეულობის განცდას. პედაგოგის პროფესიული თვითშეფასება გულისხმობს პედაგოგის პროფესიისთვის სპეციფიკური ნორმების, წესების, პროფესიული კრედოს გაცნობიერებას, საკუთარი თავის შეფასებას ზოგიერთ პროფესიულ ეტალონთან მიმართებაში, ასევე, საკუთარი თავის შეფასებას სხვისი - პროფესიულად რეფერენტული ადამიანების - თვალთ.

პროფესიული თვითშეფასების სტრუქტურაში გამოყოფენ შედეგის თვითშეფასებას, რომელიც დაკავშირებულია პროფესიული მოთხოვნების დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობასთან, მიღწეულ პროფესიულ მიზნებთან, და პოტენციალის თვითშეფასებას, საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების და პოტენციალის თვითშეფასებას, საკუთარი თავის, საკუთარი ძალების რწმენას.

პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასების საკვლევ ინსტრუმენტად გამოვიყენეთ გრინვალდის პიროვნების თვითშეფასების კითხვარი. კითხვარი შედგებოდა 68 დებულებისაგან და ზომავდა თვითშეფასების 4 ასპექტს: დიფუზური „მე“, სოციალური „მე“, პირადი „მე“ და კოლექტიური „მე“.

დიფუზური „მე“ შეეხება პიროვნების ფიზიკურ მხარესა და თვითშეგრძნებას, იმას, თუ როგორ გრძნობს პიროვნება თავს ფიზიკურად, როგორია მისი ჯანმთელობის მდგომარეობა, რამდენად აკმაყოფილებს საკუთარი გარეგნობა. სოციალური ასპექტი ეხება სოციალურ ურთიერთობებს მეგობრებთან, კოლეგებთან ან საზოგადოების სხვა წევრებთან. პირადი თვითშეფასება შეეხება პიროვნების მიღწევებს პროფესიულ სფეროში, პროფესიულ საქმიანობაში კმაყოფილებას, საკუთარ თავთან თანხმობას; ასევე ეხება თვითრეალიზაციის ასპექტებს, პიროვნების მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კოლექტიური „მე“ კი განიხილავს ადამიანს, როგორც კოლექტივის წევრს (იქნება ეს სამეზობლო, თემი, თუ ორგანიზაცია). ის შეეხება სხვადასხვა კოლექტივში საკუთარ როლებთან გამკლავებას და პასუხისმგებლობის გრძნობას, პროფესიულ და სოციალურ სტატუსს, კოლექტივის მოქმედების წარმატებული შედეგისათვის საკუთარ მნიშვნელობას.

თითოეული ასპექტის გასაზომად კითხვარში 17 დებულება იყო მოცემული. დებულებები ფასდებოდა ოთხსაფეხურიან სკალაზე იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამებოდა ის ცდისპირის (მასწავლებლის) წარმოდგენებს საკუთარი თავის შესახებ (0 - არ შემესაბამება; 1 - ნაკლებად შემესაბამება; 2 - შემესაბამება; 3 - სრულიად შემესაბამება).

კითხვარი ითრგმნა გერმანული ვერსიიდან, შესრულდა ასევე მისი უკუთარგმანიც. ვინაიდან გრინვალდის თვითშეფასების კითხვარი განკუთვნილია პიროვნების თვითშეფასების საკვლევად და არა კონკრეტულად პროფესიული თვითშეფასებისა, საჭიროდ მივიჩნიეთ მისი ადაპტირება ამ მიზნისთვის. ამისათვის გამოვიყენეთ ექსპერტული შეფასების მეთოდი. 20 ექსპერტს (პედაგოგები, მასწავლებლები, სკოლის დირექტორები და ფსიქოლოგები) ვთხოვეთ, შეეფასებინათ თითოეული დებულება იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასების საკვლევად. ექსპერტები დებულებათა მნიშვნელოვნებას აფასებდნენ 4 ქულიან სკალაზე (0 - არაა მნიშვნელოვანი; 1 - ნაკლებ მნიშვნელოვანია; 2 - მნიშვნელოვანია; 3 - ძალზე მნიშვნელოვანია). ექსპერტებს ვთხოვეთ ასევე, დაემატებინათ 1

ან 2 დებულება, რომელიც, მათი აზრით, უკავშირდება მასწავლებელთა პროფესიულ თვითშეფასებას და მნიშვნელოვანია ამ ფენომენის საკვლევად.

ექსპერტთა შეფასების ცენტრალური ტენდენციის საზომად თითოეული დებულებისათვის განვიხილეთ როგორც საშუალო მაჩვენებელი, ისე - მოდა. კითხვარში ამა თუ იმ დებულების დატოვების გადაწყვეტილების მიღებისას ვხელმძღვანელობდით საშუალო არითმეტიკულით (რომელიც, ერთი დებულების გარდა, ყველა დებულების შემთხვევაში თანხვდებოდა მოდას). ის დებულებები, რომელთაც ჰქონდათ ყველაზე ნაკლები საშუალო მაჩვენებლები - 0 და 1, ამოვიღეთ კითხვარიდან, ხოლო დებულებები საშუალო მაჩვენებლებით 2 და 3 დავტოვეთ კითხვარში. იმ დებულებათა რაოდენობა, რომლებსაც დაბალი საშუალო, ასევე დაბალი მოდა ჰქონდათ, იყო 11. ექსპერტებმა ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, ძირითადად, დიფუზური სკალის დებულებები. ექსპერტული შეფასების შემდეგ კითხვარში აღმოჩნდა 57 დებულება, რომლებსაც დაემატა ექსპერტების მიერ მოწოდებული (14-დან შერჩეული) 10 დებულება. ისინი ძირითადად პიროვნული თვითშეფასების სკალას მიეკუთვნებოდა.

ძირითადი კვლევის ჩატარებისას გამოვიყენეთ 67 დებულებიანი პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასების კითხვარი, რომელშიც ოთხი ფაქტორის დებულებები შემთხვევითი პრინციპით არის გადანაწილებული (არ არის დალაგებული ფაქტორების მიხედვით). ამით შევეცადეთ, თავიდან აგვეცილებინა პასუხის ტენდენცია კითხვარის შევსებისას.

მასწავლებელთა პროფესიული თვითშეფასების მიმართების კვლევისთვის სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგებთან მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დამატებითი ინფორმაციის შეგროვება ანკეტის საშუალებით, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას დამატებითი ცვლადების შესახებ: ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, სკოლაში მუშაობის სტაჟი, საგანი, რომელსაც ასწავლის პედაგოგი სკოლაში, გასულა თუ არა ის მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებზე, რომელ გამოცდებზე გასულა და რომელ გამოცდაზე აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახული, აპირებს თუ არა სასერტიფიკაციო გამოცდაზე (გამოცდებზე) გასვლას მომავალში.

როგორც ზემოთ მივითითეთ, ჩვენი კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, რა მიმართებაა პედაგოგთა პროფესიულ თვითშეფასებასა და სერტიფიცირების პროცესს, კერძოდ, სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგებს (სხვადასხვა გამოცდაზე გასვლას, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვას) შორის. ვინაიდან მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი 2014 წლამდე ნებაყოფლობითია, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ პედაგოგები, რომლებიც პირველივე ან მეორე წელს გავიდნენ გამოცდაზე, უფრო მეტად იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ თავში, ვიდრე ისინი, ვინც არ იღებს მონაწილეობას ამ პროცესში. ასევე ვივარაუდეთ, რომ სერტიფიცირების შედეგებიც იქნებოდა კავშირში თვითშეფასებასთან.

კვლევისას ვიხელმძღვანელებთ შემდეგი ჰიპოთეზებით:

1. არსებობს კავშირი თვითშეფასებასა და გამოცდაზე გასვლის ალბათობას შორის - მაღალი თვითშეფასების მქონე პედაგოგები გავიდნენ გამოცდაზე 2010-2011 წლებში ან აპირებდნენ გამოცდაზე გასვლას 2012 წელს<sup>1</sup>;

<sup>1</sup> წარმოდგენილი კვლევა ჩატარდა 06.2012.

2. არსებობს კავშირი პედაგოგების თვითშეფასებასა და სასერიფიკაციო გამოცდების (ან გამოცდის) წარმატებით ჩაბარებას (ზღვარის გადალახვას) შორის - მასწავლებლებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდები, უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე მათ, ვინც წარმატებას ვერ მიაღწია.

**კვლევაში მონაწილეობდა** თბილისისა და რეგიონის (მარტყოფის) საჯარო სკოლების 150 მასწავლებელი. მათგან 74 მასწავლებელი ასწავლის თბილისში, 76 - რეგიონში. 140 მასწავლებელი არის ქალი, ხოლო 10 მამაკაცი. მათი ასაკი მერყეობს 26-დან 75 წლამდე. საშუალო ასაკია 47.

### კვლევის შედეგები

კვლევის პირველი ამოცანა იყო კითხვარის ვარგისიანობის კრიტერიუმის შემოწმება, რისთვისაც განვახორციელეთ ანალიზი როგორც სკალების, ისე დებულებების დონეზე. დებულებათა ანალიზის შედეგად დავადგინეთ მათი სირთულისა და დისკრიმინაციის ინდექსები.

სირთულის ინდექსები მერყეობდა 0.32-დან 0.78-მდე. თუმცა კითხვარში იყო ექსპერტების მიერ დამატებული ერთი დებულება, რომლის სირთულის ინდექსი 0.91 აღმოჩნდა, რის გამოც ის ამოვიღეთ კითხვარიდან. დებულებების დისკრიმინაციის ინდექსებისა და სკალების სანდოობისა დადგენის შედეგად საბოლოო ანალიზისთვის კითხვარიდან ამოვიღეთ 7 დებულება. ამ დებულებათა დისკრიმინაციის ინდექსები იყო 0.2-ზე ნაკლები.

კითხვარის, ასევე თითოეული სკალის სანდოობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში N1. პიროვნების კითხვარებისთვის (რომელთაც მიეკუთვნება თვითშეფასების კითხვარი), მთლიანად კითხვარის და მისი სკალების სანდოობის კოეფიციენტები საკმაოდ მაღალია.

ცხრილი N1 - სკალების სანდოობის მაჩვენებლები

სკალები	კრონბახის ალფა
დიფუზური „მე“	0.79
პიროვნული „მე“	0.89
სოციალური „მე“	0.82
კოლექტიური „მე“	0.77
ზოგადი თვითშეფასება	0.94

კითხვარის მაღალ სანდოობას განაპირობებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და საკმაოდ მაღალი ინტერკორელაციები სკალებს შორის (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2 - სკალების ინტერკორელაცია (r - პირსონის კორელაციის კოეფიციენტები)

r	დიფუზური „მე“	პიროვნული „მე“	სოციალური „მე“	კოლექტიური „მე“	ზოგადი თვითშეფასება
დიფუზური „მე“	1	679	525	549	800
პიროვნული „მე“	679	1	700	639	923
სოციალური „მე“	525	700	1	632	894
კოლექტიური „მე“	549	639	632	1	818
ზოგადი თვითშეფასება	800	923	834	817	1

\*\* p<0.01

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევამოწმეთ ჩვენი ძირითადი ჰიპოთეზები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვვარაუდობდით, რომ მასწავლებლებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში 2010 და 2011 წლებში, უფრო მაღალი თვითშეფასება ექნებოდათ, ვიდრე მათ, ვინც არ გავიდა გამოცდაზე. დამოუკიდებელი ჯგუფების საშუალოთა შედარებისას (t-test) მასწავლებელთა ამ ორი ჯგუფის თვითშეფასებას შორის მართლაც აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა, ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, თვითშეფასება უფრო მაღალი აღმოჩნდათ არა სერტიფიცირების მონაწილე მასწავლებლებს, არამედ მათ, ვინც არ გასულა გამოცდაზე.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ამ ორი ჯგუფის საშუალოები განსხვავდება როგორც მთლიანად თვითშეფასებისთვის, ასევე ზოგიერთი სკალისთვის. ზოგადი თვითშეფასება უფრო მაღალი აქვთ იმ პედაგოგებს, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში (sig.=0.017). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დასტურდება გამოცდაზე გასულ და არგასულ მასწავლებელთა შორის თვითშეფასების სოციალური ასპექტის მიხედვითაც (sig.=0.001). გამოცდაზე „არგასული“ მასწავლებლების სოციალური „მე“-ს საშუალო მაჩვენებელი მაღალია იმ მასწავლებლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ვინც გამოცდაზე გავიდნენ. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება კოლექტიური „მე“-ს სკალაზეც (sig.=0.029). ამ შემთხვევაშიც თვითშეფასება მაღალია იმ მასწავლებლებთან, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა გამოცდებში. (იხ. ცხრილი 3). ეს ჩვენს ვარაუდს ეწინააღმდეგებოდა და პრობლემაში უკეთ გარკვევის მიზნით სხვადასხვა სახის ანალიზი განვახორციელეთ.

ცხრილი N3 - თვითშეფასების საშუალო მაჩვენებელთა შედარება გამოცდაზე გასვლა-არგასვლის მიხედვით

სკალა	სერტიფიცირებაში მონაწილეობა	საშუალო	t	sig
-------	-----------------------------	---------	---	-----

დიფუზური „მე“	0 1	20.62 19.07	1.89	0.060
პიროვნული „მე“	0 1	50.26 48.46	1.27	0.203
სოციალური „მე“	0 1	30.21 27.40	3.40	0.001
კოლექტიური „მე“	0 1	34.33 32.43	2.21	0.029
ზოგადი თვითშეფასება	0 1	135.41 127.35	2.42 2.40	0.017

სავარაუდოდ, ის ფაქტი, რომ გამოცდაზე გასულ მასწავლებლებს უფრო დაბალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე მათ, ვინც არ გასულა გამოცდაზე, შეიძლება აიხსნას სასერტიფიკაციო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერგადალახვით. შესაძლოა, თვითშეფასებაზე გავლენას ახდენდეს ის, რომ სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა არც თუ წარმატებული იყო პედაგოგთა ნაწილისთვის. ამის გასარკვევად გამოვიყენეთ საშუალო მაჩვენებელთა შედარება მრავალი ჯგუფისთვის (One-way ANOVA). ერთმანეთს შევადარეთ მასწავლებელთა ოთხი ჯგუფის როგორც ზოგადი, თვითშეფასების, ასევე მისი სხვადასხვა ასპექტის მაჩვენებლები. გამოიყო შემდეგი ჯგუფები: 0 - მასწავლებლები, რომლებიც არ გასულან გამოცდაზე, 1 - მასწავლებლები, რომლებიც გავიდნენ გამოცდაზე, მაგრამ ვერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, 2 - მასწავლებლები, რომლებიც გავიდნენ ორ გამოცდაზე, მაგრამ ზღვარი მხოლოდ ერთში გადალახეს (ნაწილობრივ მიაღწიეს წარმატებას), 3 - მასწავლებლები, რომლებიც გავიდნენ გამოცდაზე და გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

აღნიშნულ ჯგუფებს შორის განსხვავება სოციალური „მე“-ს სკალაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ( $\text{sig.}=0.004$ ). კონკრეტულად კი, სოციალურ ასპექტში გამოცდაზე არგასული მასწავლებლებისა (0) და იმ მასწავლებლების მაჩვენებლების შედარება, რომლებმაც ერთ საგანში გადალახეს ზღვარი (2) სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას გვაძლევს (საშუალოთა სხვაობა=4.332,  $\text{sig.}=0.010$ ). გამოცდაზე არგასული მასწავლებლების (0) და იმ მასწავლებლებს შედეგების შედარებისას, რომლებმაც ორივე საგანში გადალახეს ზღვარი (3) სოციალურ ასპექტში ასეთივე ტენდენცია გვაქვს (საშუალოთა სხვაობა=2.645,  $\text{sig.}=0.060$ ). აქედან გამომდინარე, გამოცდაზე არგასული მასწავლებლების (0) თვითშეფასება სოციალურ ასპექტში მაღალია იმ მასწავლებლებთან შედარებით, რომლებმაც ერთ საგანში გადალახეს ზღვარი (2) და ორივე საგანში გადალახეს ზღვარი (3).

დანარჩენ სკალებზე ჯგუფებს შორის განსხვავებები მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, თუმცა, გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია: გამოცდაზე არგასული მასწავლებლების (0) კოლექტიური თვითშეფასება მაღალი აღმოჩნდა იმ მასწავლებლებთან შედარებით, რომლებმაც ერთ საგანში გადალახეს ზღვარი (2) (საშუალოთა სხვაობა=3.517,  $\text{sig.}=0.070$ ). ხოლო პიროვნულ (sig.=0.375) და დიფუზურ ასპექტში (sig.=0.211) ჯგუფთაშორის განსხვავება არ გამოიკვეთა.

ზოგად თვითშეფასებაში ჯგუფებს შორის არსებული განსხვავების ტენდენცია შენარჩუნდა ( $\text{sig.}=0.055$ ). განსხვავება გამოცდაზე არგასული მასწავლებლების (0) და იმ



მასწავლებლების შედეგებს შორის, რომლებმაც ერთ საგანში გადალახეს ზღვარი (2) ტენდენციის სახით იჩენს თავს (საშუალოთა სხვაობა = 13.852, sig.= 0.065). გამოცდაზე არგასულ მასწავლებლებს (0) ზოგადი თვითშეფასება აქვთ ყველაზე მაღალი. ზოგად თვითშეფასებაში სხვა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ გავქვს.

როგორც სტატისტიკური ანალიზიდან ჩანს, შედეგები ჩვენი ჰიპოთეზის საპირისპიროა. თითქოს უცნაურია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ პედაგოგებს, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სერტიფიცირების პროცესში, უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე მათ, ვინც გავიდა სასერტიფიკაციო გამოცდებზე და წარმატებასაც კი მიაღწია. სავარაუდოდ, გამოცდაზე გასვლა საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის, თვითდაჯერებულობის ინდიკატორი არ არის. პირიქით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკუთარ პროფესიონალიზმში დარწმუნებული პედაგოგები საწყის ეტაპზე მონაწილეობენ (ან არ აპირებენ მონაწილეობის მიღებას) სერტიფიცირების პროცესში. ეს შედეგი ეხმიანება მასწავლებელთა არსებული და საჭირო რაოდენობის კვლევის (რომელიც ზემოთ განვიხილეთ) შედეგებს, სადაც მასწავლებელთა ნაწილი გამოცდაზე არგასვლის მიზეზად იმას ასახელებს, რომ კვალიფიკაციის შემოწმების მოთხოვნა მათთვის შეურაცხმყოფელია. გარდა ამისა, შესაძლოა სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც არ სარგებლობენ მაღალი პრესტიჟით კოლეგებს შორის და დირექციასთან (შესაბამისად, აქვთ დაბალი სოციალური და კოლექტიური თვითშეფასება), არის ერთგვარი საბუთი საკუთარი კვალიფიკაციის დასადასტურებლად და, შესაბამისად, სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად.

ანკეტის საშუალებით შევავროვეთ ინფორმაცია სამუშაოს ადგილმდებარეობის შესახებ. ამ დამატებითი ცვლადის მიხედვით პედაგოგების ორი ჯგუფი გამოიყო: თბილისში მომუშავენი - 1 და რეგიონში მომუშავენი - 2. ანალიზისათვის გამოვიყენეთ t-test. რეგიონში მომუშავე მასწავლებელთა რაოდენობა იყო 76, თბილისში - 74. პირველ (თბილისი) ჯგუფს ზოგადი თვითშეფასებაც და მისი ყველა ასპექტიც უფრო მაღალი აქვს, მეორე (რეგიონი) ჯგუფთან შედარებით. რეგიონში მომუშავე მასწავლებლების ზოგადი თვითშეფასებაც და ყველა სკალური მაჩვენებელიც დაბალია თბილისში მომუშავე მასწავლებლებთან შედარებით, განსაკუთრებით, კი ეს ეხება დიფუზურ და კოლექტიურ ასპექტებს და ზოგად თვითშეფასებას (იხ. ცხრილი 4). შესაძლოა რეგიონში მომუშავე მასწავლებლების დაბალი თვითშეფასება ნაკლებ პრესტიჟული სამუშაო ადგილით არის გამოწვეული. საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა დედაქალაქში უფრო მეტია. თბილისის სკოლებში მუშაობა უფრო პრესტიჟულია, ვიდრე რეგიონის სკოლაში მუშაობა.

ცხრილი N4 - თვითშეფასების საშუალოთა შედარება სამუშაოს მდებარეობის მიხედვით

სკალა	რეგიონი/თბილისი	საშუალო	t	sig
-------	-----------------	---------	---	-----

დიფუზური „მე“	1 2	21.15 18.72	3.03	0.003
პიროვნული „მე“	1 2	51.31 47.62	2.68	0.008
სოციალური „მე“	1 2	30.05 27.84	2.65	0.009
კოლექტიური „მე“	1 2	35.27 31.71	4.33	0.000
ზოგადი თვითშეფასება	1 2	137.78 125.89	3.67	0.000

ჩვენ დამატებით ვიკვლევდით სწავლების საფეხურის, სტაჟის, ასაკის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის ცვლადებს, რომელთა მიხედვითაც საშუალოთა შორის განსხვავება არ აღმოჩნდა არც ცალკეულ სკალებზე და არც ზოგად თვითშეფასებაში.

საგნების მიხედვით ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უცხო ენის მასწავლებლები განსხვავდებიან მათემატიკის მასწავლებლებისგან სოციალური თვითშეფასების სკალაზე (თავს იჩენს მხოლოდ ტენდენცია, sig.=0.65, საშუალოთა შორის განსხვავება = 5.7). უცხო ენის მასწავლებლების თვითშეფასების სოციალური ასპექტი უფრო მაღალია, ვიდრე მათემატიკის მასწავლებლებისა, ისინი უფრო გახსნილები არიან სოციალური ურთიერთობებისთვის, უფრო სიამოვნებთ კოლეგებთან თუ მეგობრებთან კონტაქტი, კარგი მოსაუბრენი არიან და ა.შ.

კვლევის ფარგლებში შევადარეთ ერთმანეთს იმ მასწავლებელთა თვითშეფასება, რომლებიც ერთ საგანს ასწავლიან (124 მასწავლებელი), და მათი, ვინც რამდენიმე საგანს ასწავლის (26 მასწავლებელი). ეს ჯგუფები (ერთ საგანს ასწავლის - 1, რამდენიმეს - 2). შევადარეთ ერთმანეთს t-test-ით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გვაქვს თვითშეფასების კოლექტიურ ასპექტში (sig.=0.010). კოლექტიური თვითშეფასება უფრო მაღალი აქვთ იმ მასწავლებლებს, რომლებიც ორ ან მეტ საგანს ასწავლიან (2). პიროვნულ (sig.=0.24), დიფუზურ (sig.=0.64) და ზოგად თვითშეფასებაშიც (sig.=0.040) იგივე ტენდენცია გამოვლინდა (იხ. ცხრილი N5).

აღმოჩნდა, რომ თუკი მასწავლებელი რამდენიმე საგანს ასწავლის, მას გაცილებით მაღალი თვითშეფასება აქვს. ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს მასწავლებელთა მაღალ კვალიფიკაციას (სულ მცირე, თავად მასწავლებლის მიერ თავისი კვალიფიკაციის სუბიექტურ შეფასებას, როგორც მაღალის) - რამდენიმე საგნის სწავლება ერთგვარად გულისხმობს კომპეტენციას რამდენიმე სფეროში, ასევე გამოხატავს დირექციის „ნდობას“ პედაგოგის მიმართ. ამას გარდა, რამდენიმე საგნის სწავლების შემთხვევაში ანაზღაურებაც უფრო მაღალია.

ცხრილი N5 - თვითშეფასების საშუალოთა შედერება საგნების სწავლების რეოდენობის მიხედვით

სკალა	ერთი საგანი/ რამდენიმე საგანი	საშუალო	t	sig
დიფუზური „მე“	1 2	19.57 21.58	-1.86	0.64
პიროვნული „მე“	1 2	48.72 52.88	-2.27	0.24
სოციალური „მე“	1 2	28.93 28.96	-0.03	0.976
კოლექტიური „მე“	1 2	32.96 35.88	-2.60	0.010
ზოგადი თვითშეფასება	1 2	130.18 139.31	-2.07	0.040

პედაგოგებმა კვლევის ფარგლებში აღნიშნეს, აპირებენ თუ არა 2012 წელს გამოცდაზე გასვლას (1 - აპირებს პროფესიულ გამოცდაზე გასვლას; 2 - აპირებს საგნობრივ გამოცდაზე გასვლას; 3 - ორივეზე გასვლას აპირებს; 4 - არც ერთზე არ აპირებს გასვლას). ანალიზისას ერთმანეთს შევადარეთ რამდენიმე ჯგუფის საშუალო მაჩვენებლები (One-way ANOVA) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებია ზოგად თვითშეფასებაში (sig.=0.021, F=3.330), ასევე თვითშეფასების სოციალურ (sig.=0.008, F=4.090) და კოლექტიურ (sig. =0.026, F=3.166) ასპექტებში.

ზოგადი თვითშეფასების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასწავლებლები, რომლებიც 2012 წელს ორივე საგნის ჩაბარებას აპირებს (3) და ისინი, ვინც მხოლოდ პროფესიულ გამოცდას აბარებს (1) (sig.=0.014, საშუალოთა სხვაობა=15.667). სოციალურ (sig.=0.008, საშუალოთა სხვაობა=4.128) და კოლექტიურ (sig.=0.017, საშუალოთა სხვაობა=3.949) ასპექტებშიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა იგივე ჯგუფებს (3, 1) შორის. ხოლო პიროვნულ ასპექტში განსხვავება მხოლოდ ტენდენციის სახით იჩენს თავს (sig.=0.066, საშუალოთა სხვაობა=5.346). ამრიგად, მასწავლებლები, რომლებიც 2012 წელს აპირებენ საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდების ჩაბარებას, უფრო მაღალი თვითშეფასებით გამოირჩევიან, საკუთარ ძალებში და კომპეტენციაში მეტად დარწმუნებულები, მეტად კომუნიკაბელურნი, სოციალური კონტაქტების მოყვარულნი, ინიციატივიანები, ახალი წამოწყებისას ლიდერები, კოლექტიური პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ერთ გამოცდას აბარებს, ან საერთოდ არ აპირებს სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობას. ეს ჩვენი პირველი ჰიპოთეზის ნაწილობრივ გამართლებას ნიშნავს.

აღნიშნული ტენდენცია კანონზომიერია, რადგან, ორივე გამოცდაზე გასვლა გაცილებით მეტ ძალისხმევას, ენთუზიამს, ენერგიას და მომზადებას მოითხოვს, ვიდრე ერთ გამოცდაზე გასვლა. შესაბამისად, თუ პედაგოგი არ იქნება დარწმუნებული საკუთარ თავში, ის ორივე გამოცდაზე ერთად არ გავა. შესაძლოა პირიქითაც იყოს, იმ ფაქტმა, რომ მან გადაწყვიტა ორივე გამოცდაზე ერთად გასვლა, განაპირობა მისი როგორც პროფესიონალის მაღალი თვითშეფასება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ პედაგოგთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც ორივე საგნის ჩაბარებას გეგმავს 2012 წელს,

არ გასულა აქამდე გამოცდებზე, ანუ, ჩვენი კვლევის მიხედვით, მაღალი თვითშეფასების მქონეა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის - პროფესიული უნარები; გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2011;
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ კვლევა, 2008 წელი;
3. Бороздина А.В. Что такое самооценка? // Психологический журнал, 1992. – т.13. - № 4. – С.99-100.
4. Митина Л.М. Психология труда и профессионального развития учителя: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб. заведений / Л.М. Митина. - М. : Издательский центр «Академия», 2004.
5. Higgins, E. T. The Antecedents of Self Esteem. San Francisco W.H. (1983).
6. Schiraldi, G. R. Society and the adolescent self-image. Princeton, NJ: Princeton University Press (2001).
7. Tinsley, R. The self-Esteem workbook <http://lauraschenck.com/growth-and-strengths/identify-your-level-of-self-esteem> (2002).
8. The Professional Self Esteem of Teacher educators in Texas. Dissertation Abstract International. (UM/No 3058172)

*სტატიაში მოყვანილია ხუთი (5) ცხრილი.*

-----  
**Article received:** 2013-06-24